სააქციო საზოგადოება „ვითიბი ბანკ ჯორჯიას"

აქციონერთა წლიური საერთო კრების

სხდომის ოქმი №02/2009

ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №37
2009 წლის 24 ივლისი 15^{00} სთ

სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" (შემდგომში - „ბანკი") აქციონერთა წლიურ საერთო კრებას, ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორის სს „კავკასრეესტრის" ინფორმაციის თანახმად, ესწრებოდნენ აქციონერები და აქციონერთა წარმომადგენლები, 94230435 ხმის უფლებით, რაც სააღრიცხვო დღის ანუ 2009 წლის 24 ივნისის მდგომარეობით შეადგენს ხმათა საერთო რაოდენობის 92.25%-ს. „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 54 მუხლის 5 პუნქტის თანახმად, ბანკის აქციონერთა წლიური საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, რადგან მას ესწრებოდნენ კაპიტალის 92.25%-ის შესაბამისი აქციების მფლობელები-აქციონერები. ბანკის აქციონერთა წლიური საერთო კრების მოწვევის შესახებ განცხადება გამოქვეყნებული იყო საქართველოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", №42 2009 წლის 1 ივლისს.

აქციონერთა წლიურ საერთო კრებას თავმჯდომარეობდა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ევგენი ნემერინსკი.

ბანკის წესდების 5.8 პუნქტის თანახმად ბანკის აქციონერთა წლიური საერთო კრების მდივნად დამსწრე აქციონერთა ხმათა უბრალო უმრავლესობით არჩეულ იქნა მედეა ჭელიძე.

აქციონერებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი:

1. სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" დირექტორატის ანგარიშის დამტკიცების შესახებ 2008 წელს გაწეული სამუშაოს თაობაზე.
/მომხსენებელი - სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" გენერალური დირექტორი ნ. შურღაია/

2. სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას". 2008 წლის წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" გარე აუდიტორის Ernst&Young Audit LLC–ის 2008 წლის ანგარიშის განხილვის შესახებ.
/მომხსენებელი - სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე ო. კრასნოჟონი/

3. სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" 2008 წელს მიღებული მოგების განაწილებისა და დივიდენდების გაცემის შესახებ.
/მომხსენებელი - სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ე. ნემერინსკი/

4. სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" 2009 წლის წლიური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად გარე აუდიტორის დამტკიცების შესახებ.
/მომხსენებელი - სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე ო. კრასნოჟონი/

5. სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" აქციონერთა წლიური საერთო კრების გადაწყვეტილების 5.2 პუნქტში ცვლილების შეტანის შესახებ (2008 წლის 8 აგვისტოს ოქმი).
/მომხსენებელი - სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ე. ნემერინსკი/

6. სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
/მომხსენებელი - სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" გენერალური დირექტორი ნ. შურღაია/

3. <u>მოისმინეს:</u> „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ე. ნემერინსკის ინფორმაცია სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" 2008 წლის საქმიანობის შედეგების მიხედვით მოგების არ არსებობისა და დივიდენდების გაცემის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

„მომხრე" - 94230435 ხმა
„წინააღმდეგი" - 0 ხმა
„თავი შეიკავეს" - 0 ხმა

დაადგინეს:

3.1. სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" 2008 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" გარე აუდიტორის Ernst&Young Audit LLC-ის 2008 წლის ანგარიშის (წინამდებარე ოქმის დანართი №2) გათვალისწინებით, ცნობად იქნეს მიღებული მოგების არ არსებობა სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" 2008 წლის საქმიანობის შედეგების მიხედვით და არ გაიცეს დივიდენდები სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" 2008 წლის საქმიანობის შედეგების მიხედვით, ბანკის წესდების 5.10 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის თანახმად.